

ხასიათის სიმტკიცის ნიშნებისა და ღირსებების მიმართება კეთილდღეობის  
მულტიგანზომილებიან PERMA მოდელთან

ქეთევან კიკნაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის - „ხასიათის სიმტკიცის ნიშნებისა და ღირსებების მიმართება, კეთილდღეობის მულტიგანზომილებიან PERMA მოდელთან“, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან კვიციანი

12.07.2020

## აბსტრაქტი

მარტინ სელიგმანისა და კრისტოფერ პეტერსენის მიერ 2004 წელს კლასიფიცირებული ხასიათის სიმტკიცისა და ღირსებების ნიშნები დღესდღეობით მკვლევარების დიდ ინტერესს იწვევს. ხასიათის სიმტკიცის ნიშნების დადებითი პიროვნული თვისებებია, რომლის გამოყენების მეშვეობით შეგვიძლია მივიღოთ კარგი ცხოვრება. მრავალმა კვლევამ დაადასტურა მათი ძლიერი კავშირი სუბიექტურ და ჰედონურ კეთილდღეობასთან. მარტინ სელიგმანმა წარმოგვიდგინა ახალი, ხუთ განზომილებიანი კეთილდღეობის ჩარჩო, რომელიც მოიცავს როგორც სუბიექტური ასევე ჰედონური კეთილდღეობის ასპექტებს: პოზიტიური ემოცია, ჩართულობა, ურთიერთობები, საზრისი და მიღწევა (PERMA).

ხასიათის სიმტკიცის ნიშნების მიმართება კეთილდღეობის მულტიგანზომილებიან მოდელთან ჯერ-ჯერობით არარის საფუძვლიანად შესწავლილი მსოფლიოში. საქართველოში მსგავსი კვლევა არ განხორციელებულა. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს იკვლიოს ხასიათის სიმტკიცის ნიშნების მიმართება კეთილდღეობის მულტიგანზომილებიან მოდელთან PERMA.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ორი უნივერსიტეტის ( ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ) საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებმა ( $N=302$ ). მონაწილეებმა შეავსეს ხასიათის სიმტკიცის ნიშნების და ღირსებების (VIA-72) და PERMA -ს (PERMA Profiler) კითხვარები. ხასიათის სიმტკიცის ნიშნების და PERMA-ს მნიშვნელოვანი პოზიტიური კავშირიდან გამომდინარე შესაძლებელია ხასიათის სიმტკიცის ნიშნების ღირებულების დანახვა სტუდენტების კეთილდღეობასთან მიმართებაში. შედეგებმა აჩვენა რომ ხასიათის სიმტკიცის ნიშნები მნიშვნელოვნად ძლიერ კორელაციაშია PERMA კეთილდღეობის მოდელის ყველა განზომილებასთან. კვლევა გვიჩვენებს რომ საქართველოში მცხოვრები სტუდენტების

ხასიათის სიმტკიცის ნიშნები გარკვეულ წილად განსხვავდება მსოფლიოს სხვა ქვეყნის მონაცემებისგან.

პოზიტიური განათლება ნელ-ნელა იკიდებს ფეხს დასავლურ თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში. კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით რომ შედეგები მოგვცემს საშუალებას კარგად დავგეგმოთ და განვახორციელოთ სიძლიერეებზე დაფუძნებული ინტერვენციები როგორც გუნდური ასევე ინდივიდუალური, და ამით საქართველოში პოზიტიურ განათლებას ჩავუყაროთ საფუძველი.

**საკვანძო სიტყვები:** ხასიათის სიმტკიცის ნიშნები და ღირსებები, სტუდენტები, კეთილდღეობა, PERMA, პოზიტიური განათლება, პოზიტიური ფსიქოლოგია

## Abstract

Character strength and virtues, classified by Martin Seligman and Christopher Peterson in 2004, are gaining more and more attention of researchers in various fields of academia. Character strengths are positive character traits by the use of which one can accomplish a meaningful and good life. Many studies have confirmed their strong connection to subjective and hedonic wellbeing. Martin Seligman, in his quest to study happiness, has developed a new multidimensional model of wellbeing, which combines in itself both hedonic and subjective wellbeing aspects: positive emotions, engagement, relationships, meaning and accomplishment (PERMA).

The relationship of character strength to PERMA model has not yet been extensively studied worldwide. Similar study has not been undertaken in the Republic of Georgia. Present study aims to find the relationship of character strength to PERMA wellbeing framework.

A total of 302 undergraduate students, from 2 universities in Republic of Georgia, have completed the character strength and virtues (VIA-72) questionnaire and PERMA Profiler. Findings have shown strong positive correlation between 24 character strengths and all of the 6 PERMA factors. Based on the findings it could be assumed that character strengths are of a benefit to one's wellbeing. The findings of the research show how differently are the character strengths distributed amongst the Georgian students, compared to the international findings.

Positive education is rapidly gaining popularity worldwide amongst educational institutions. Present study is important as its findings will give the possibility to plan and develop character-based interventions for groups and individuals, thus creating a solid foundation for implementation of positive education in the Republic of Georgia.

*Key words: character strength and virtue, wellbeing, PERMA, students, positive education, positive psychology*